

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ერთეტაპიანი ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე №NAT-----

ქალაქი ქუთაისი

----- 2018 წელი

ერთის მხრივ,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიას სახით,
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170
ტელეფონის ნომერი: 0(431)-24-54-54
ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge
ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

(შემდგომში მომწოდებელი)

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციას (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6 „სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;
- 1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ აუქციონის გარეშე ერთეტაპიანი ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

- 2.1 ქალაქ ქუთაისში, ბელიაშვილის და გუნაას ქუჩების გზის ბეტონის საფარით მოწყობა, ღვარსადენთან ერთად.
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში. (ხარჯთაღრიცხვები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი და სამუშაოების შესრულების ყოველკვირეული გეგმა-გრაფიკი წარმოდგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს)
- 2.3 კლასიფიკატორის კოდი –45200000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: _____ ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის პროცესში შეამოწმოს სამუშაოები, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 4.2 სახელშეკრულებო ობიექტზე (ობიექტებზე ცალ-ცალკე) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს –დანომრილფურცლიანი, ზონარგაყრილი, „შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ და „მიმწოდებელი“ ორგანიზაციების ხელმძღვანელების

ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული **სამუშაოთა წარმოების ჟურნალი**, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმებისა და მოწყობილობების ჩამონათვალს, ხარისხის, უსაფრთხოებისა და გარემოზე ზემოქმედების დაცვის პროცედურებს, ამინდის მონაცემებს და სხვა. ამ ჟურნალში ტექნიკური დეტალი ყოველდღიურად ასახავს და ავსებს მონაცემებს, პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებსა და რეკომენდაციებს. ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

4.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 თუ „შემსყიდველი“, შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს გარდა კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს მიერ.

4.6 „შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ ამოწმებს სამუშაოს შესრულების ხარისხს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობას, მოცულობასა და ღირებულებას, ხოლო „შემსყიდველის“ უფლებამოსილი სამსახური შეამოწმებს სამუშაოების შესრულების ვადებს“.

5. სამუშაოს შესრულების ვადები და პირობა

5.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ქალაქ ქუთაისში, ბელიაშვილის და გუნიას ქუჩების გზის ბეტონის საფარით მოწყობა, ღვარსადენთან ერთად განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

5.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამშენებლო ობიექტზე მოახდინოს, ამოჭრილი საკონტროლო კერნების სიცარიელების შევსება ბეტონის ნარევით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად, თუკი შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება იქნება სახელშეკრულებო თანხის არანაკლებ 30%, გარდა ბოლო შესრულებისა.

6.2 „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშაოების ფორმა №2 და ბეტონის ნარევის მარკიანობის ლაბორატორიული დასკვნა, რომელიც დადასტურებული და შეთანხმებული იქნება „შემსყიდველი“-ს მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის, შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს მიერ“.

6.3 სამუშაოს დასრულების ვადათ ითვლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის და შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს მიერ სამუშაოს დასრულების დადასტურების დღე

6.4 ფაქტური შესრულების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის და შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, (თუკი შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება იქნება სახელშეკრულებო თანხის არანაკლებ 30%, გარდა ბოლო შესრულებისა) „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფორმა 2-ის მიხედვით შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, „შემსყიდველი“-ს მიერ ამ მიზნებისათვის შერჩეული შესაბამის სფეროში აკრედიტირებული პირის, შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე, „შემსყიდველის“ მიერვე დაწესებულ ვადებში.

7.3 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

- ა) „შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს მიერ გაცემული დადებითი დასკვნა და შესრულებული სამუშაოების ფორმა №2;
- ბ) ბეტონის ნარევის მარკიანობის ლაბორატორიული დასკვნა;
- გ) „მიმწოდებელსა“ და „შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“ შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;
- დ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.დ.გ-ს ანგარიშფაქტურა“.

7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).

7.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7.5 „მიმწოდებელი“-ს მოთხოვნით, მხარეთა შორის 25%-ის ფარგლებში წინასწარ ანგარიშსწორებაზე მიღწეული შეთანხმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“-ს მიერ უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია, საავანსო გადახდის თანხაზე, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების დასრულების ვადას **წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტიის წარმოდგენა დასაშვებია „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან, როგორც ეროვნულ ვალუტაში (ლარი), ისე უცხოურ ვალუტაში - ა.შ.შ დოლარში ან/და ევროში. OECD-ს**

წვერი ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მიერ გაცემული საბანკო გარანტიის დოკუმენტის ვალიდურობა დადასტურებული უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ან/და წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ავიზირება. იმ შემთხვევაში თუკი, წინასწარი ანგარიშსწორების (საავანსო) გარანტია წარმოდგენილი იქნება უცხოურ ვალუტაში და სავალუტო კურსის ცვლილება (ლარის გამყარება) გამოიწვევს ხელშეკრულებით პირობების მიხედვით გაცემული და დაუდასტურებელი (გამოუქვითავი) საავანსო თანხის შემცირებას, მიმწოდებელი ვალდებული იქნება გაზარდოს წინასწარი ანგარიშსწორების გარანტიის ღირებულება და წარუდგინოს იგი შემსყიდველს ყოველი ასეთი შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანს 10 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში შესაბამისი ღირებულების საბანკო გარანტიის წარმოდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. საბანკო გარანტიები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

7.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, „შემსყიდველი“-ს მიერ ყოველ შესრულებულ სამუშაოზე დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის 2.5%-ის დაბრუნება მოხდება სამუშაოების სრული დასრულებისა და „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი სპეციალური კომისიისგან შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი (აღნიშნული თანხის დაკავების ფორმას განსაზღვრავს „შემსყიდველი“) სამუშაოების საგარანტიო ვადის (სამი წელი) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“-ს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის ან სპეციალური კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე. საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ „მიმწოდებელი“ ვალდებულია 3 (სამი) თვის ვადაში მიმართოს „შემსყიდველს“ დაკავებული თანხის დაბრუნების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ არ მიმართავს თანხის დაბრუნების თაობაზე, „მიმწოდებელს“ აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება. ასევე თუ ხელშეკრულების საგარანტიო ვადის გასვლამდე, გამოვლენილი ხარვეზების შედეგად „შემსყიდველს“ მიადგა ზარალი აღნიშნული გარანტიით განსაზღვრულ ღირებულებაზე მეტი ოდენობით, „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაუხადოს „შემსყიდველს“ შესაბამისი ნარჩენი ღირებულება, ან აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.

8. გარანტია

8.1 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადათ განისაზღვრება **3 (სამი) წელი**, რომლის განმავლობაშიც „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით ან გარეშე ძალის ზემოქმედებით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

- 9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.
- 9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
- 9.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
- 9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 9.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

- 10.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
- 10.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 10.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ვადადმე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
- ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
 - ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
 - გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
 - დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
 - ე) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკი;

- ვ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 1,5%-ს;
- ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება.

11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;
- ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკის შესაბამისად.
- გ) თუ გამოვლინდება, რომ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის არ არის საჭირო დოკუმენტაცია, არაა სათანადო ნებართვა მოპოვებული, ან მათი განხორციელებით შეიძლება ბუნებრივ გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების მოხდენა, „მიმწოდებელი“ ვალდებულია სათანადო დოკუმენტაციისა თუ ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული კონკრეტული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად.
- დ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო და გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;
- ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;
- ვ) ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული ავანსის თანხა გამოიყენოს კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით.
- ზ) ანგარიშსწორებისას მიუთითოს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ჯამური ღირებულება;
- თ) მიმწოდებელი ვალდებულია ქვემოთ ჩამოთვლილი, პროექტით გათვალისწინებული უკან დასაბრუნებელი მასალები გადასცეს შემსყიდველს მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალებისა და ჯართის სახით, არსებული წესით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. აღნიშნული მასალების ფაქტობრივი რაოდენობა დგინდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ ადგილზე სათანადო აქტის გაფორმების შემდეგ. მიმწოდებელი ვალდებულია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უკან დასაბრუნებელი მასალების მოვლა-შენახვა უზრუნველყოს თავისი ძალებით, მათი სხვა ორგანიზაციის საწარმოო ბაზაზე განთავსებამდე, ან დამკვეთის მიერ არსებული წესების შესაბამისად მათი განკარგვის ან გამოყენებამდე.

11.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

11.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველისა და მიმწოდებლის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი.

11.4 სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყოვნებლივ, არაჯეროვნად შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ შედგენილ აქტში, რის შემდეგაც მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტებით შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 გამოიყენება გარანტია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი და რომელიც ერთი თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

12.2 ხელშეკრულების შესრულების მიზნით, „მიმწოდებელი“-ს მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება „შემსყიდველს“ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო;

12.3 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება „მიმწოდებლისაგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით, „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 დაუძლეველი ძალის გარდა „მიმწოდებელი“-ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში „მიმწოდებელი“ გადაიხდის ხელშეკრულების საერთო თანხის 30%(ოცდაათ პროცენტს) – ——— (————) ლარს შემსყიდველის სასარგებლოდ.

13.2 ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება საჯარიმო სანქცია ხელშეკრულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით, ვადაგადაცილებულ დღეებზე.

13.3 თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს მის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებულ შესაბამისი ეტაპის დასრულების ვადას, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.05%-ის ოდენობით (გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ვადაგადაცილებულ დღედ ითვლება).

13.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1,5%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.5 ამ ხელშეკრულების 13.4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო თანხის 40%(ორმოცი პროცენტის) ოდენობით – _____ (_____) ლარი მეორე მხარის სასარგებლოდ.

13.6 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13.7 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

13.8 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს დასრულების ვადაში განხორციელებისას, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე შ.პ.ს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს დასკვნის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ თავისუფლდება ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციებიდან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ.

14.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება ძალაშია ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში, გარდა მე-7 მუხლის 7.6 და 7.7 პუნქტებითა და მე-8 მუხლის 8.1 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან“ და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან“.